



19 თებერვალს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა დიდი აფხაზი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი გულიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომლის ორგანიზატორები იყვნენ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი და სსუ კულტურათაშორისი კომუნიკაციების დეპარტამენტი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ ისაუბრა დიმიტრი გულიაზე, როგორც აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელზე, ფართე დიაპაზონის მქონე პიროვნებაზე, რომელიც თავისი შემოქმედებით და პიროვნული ღირსებებით ერთგვარ შემაკავშირებელ რგოლად მოგვევლინა ქართველებსა და აფხაზებს შორის.

დიმიტრი გულიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრეს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა სვეტლანა ქეცბამ, პროფესორებმა: თეიმურაზ გვანცელაძემ, ოთარ ჟორდანიამ, ზურაბ პაპასქირმა, ლორიკ მარშანიამ, პოეტებმა - გენო და რენე კალანდიებმა.

საღამოზე დიდი აფხაზი მწერლის ლექსები წაიკითხეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა ია სუხიტაშვილმა და ლევან ხურციამ. აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა (სამხატვრო ხელმძღვანელი - გურამ ყურაშვილი, დირიჟორი - დავით ოკუჯავა) შეასრულა აფხაზური და ქართული ხალხური სიმღერები.

საღამოს სსუ კულტურათაშორისი კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი ინდირა მაგანია უძღვებოდა.